საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №4
2025 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეების მიერ დამატებითი ანაზღაურების (სახელფასო დანამატის) მისაღებად დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმების და სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეთა ფულადი სარგოს განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 იანვრის №4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეების მიერ დამატებითი ანაზღაურების (სახელფასო დანამატის) მისაღებად დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმების და სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეთა ფულადი სარგოს განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 იანვრის №4 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 26/01/2018, 140130000.22.034.016696) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №5-ის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეს (გარდა სასაზღვრო პოლიციის სასწავლო ცენტრის (მთავარი სამმართველო) მოსამსახურისა) მის მიერ სასაზღვრო პოლიციის სასწავლო ცენტრში (მთავარი სამმართველო) ჩატარებული სპეციალური პროფესიული გადამზადების ან/და კვალიფიკაციის ამაღლების კურსის/პროგრამის ყოველი ერთი საათისათვის ეძლევა დანამატი 40 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 27 თებერვლიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **ვახტანგ გომელაური**